



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

2020 წლის 10 დეკემბრის

ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: დისტანციური სხდომა (Webex პლატფორმის გამოყენებით)

სხდომის დაწყების დრო: 17:00

დისტანციურ რეჟიმში სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ციციხო ცხვედიანი, დათუნა მოდებაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება:

წევრები გაეცნენ:

(ა) ანა ლიპარტელიანის, გულნაზი ბოკუჩავას და ქრისტინე ოქროპირიძის განცხადებებს გაწევრიანების შეახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, „პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის

ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა ლიპარტელიანის, გულნაზი ბოკუჩავას და ქრისტინე ოქროპირიძის განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.

(ბ) თამარ ჩარაშვილის, მარიამ მაღრაძის, პაატა კოკაიას, სალომე მესხიშვილის და ნინო დანელიას განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია. შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ ჩარაშვილის, მარიამ მაღრაძის, პაატა კოკაიას, სალომე მესხიშვილის და ნინო დანელიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) პაატა დობორჯგინიძის განცხადებას ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირის მიერ წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს პაატა დობორჯგინიძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გიორგი გოგლიძის, დავით რუსაძის, ეკატერინე კორსანტიას, ზურაბ კუთხაშვილის, თეონა ჩანქსელიანის, ია მესხის, მინდია ქათამაძის, ნაზი ვარაზაშვილის, ნინო გადილიას, სალომე გელაშვილის, ალუდა ლუდუშაურის, გიორგი დოლიძის, ლუკა კოდუას, ნანა კობახიძის, ამზა კაკაურიძის და ნინო დანელიას განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოაღნიშნული პირების განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ლევან ლატარიას განცხადების განხილვა სიით ნომერში „დროშ ერთის“ გაუქმების შესახებ.

წევრები გაეცნენ ლევან ლატარიას 2020 წლის 8 დეკემბრის განცხადებას სიით ნომერში (0379/1) „დროშ ერთის“ მოხსნის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლევან ლატარიას განცხადება და მისი სიითი ნომერი განისაზღვროს შემდეგნაირად - 0379.

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - ჯიმშერ ტყეშუჩავას, პაატა კოპალეიშვილის და თამაზ ჯალიაშვილის განაცხადებს თანდართული ბიოგრაფიით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ

პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ჯიმშერ ტყეზუჩავას, პაატა კოპალეიშვილის და თამაზ ჯალიაშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 6. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადის განსაზღვრის საკითხის განხილვა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ახალი დიზაინის საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობის დამტკიცების თაობაზე 2018 წლის 7 დეკემბერს, აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დღევანდელი მდგომარეობით, ასოციაციის 2500-მდე წევრმა შეცვალა ძველი მოწმობა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2021 წლის პირველ იანვრამდე, მაგრამ, რადგან ასოციაციის წევრთა გარკვეულ რაოდენობას ჯერ ისევ არ აქვს გამოცვლილი ახალი დიზაინის მოწმობა, მიზანშეწონილია, საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა გაგრძელდეს არაუმეტეს 6 თვით - 2021 წლის 01 ივლისამდე.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი ძველი მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 01 ივლისამდე, მანამდე კი ძალაში იქნება მოწმობის ორივე ნიმუში;
2. აღნიშნულის თაობაზე ეცნობოთ ადვოკატთა ასოციაციის წევრებს;
3. აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და სპეციალურ პენიტენციურ

სამსახურს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს პროკურატურას.

საკითხი 7. COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის საერთო კრების ჩატარების საკითხზე მსჯელობა.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის და ასოციაციის წესდების მე-13 მუხლის თანახმად, ასოციაციის საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად. თუმცა, მიმდინარე წლის საერთო კრების დადგენილი წესით ჩატარებას აფერხებს ის გარემოება, რომ COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 22 მაისს და 2020 წლის 14 ივლისს შესული ცვლილებების თანახმად, საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით დააწესა რიგი შეზღუდვებისა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მათ შორის, საქალაქთაშორისო მგზავრთა რეგულარული გადაყვანის აკრძალვას და საჯარო სივრცეში პირთა თავშეყრის უფლების, მათ შორის სემინარებისა და კონფერენციების ჩატარების შეზღუდვას.

ამასთან, თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკითხზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის, სრულყოფილი ინფორმაციის მოძიების მიზნით, ადვოკატთა ასოციაციამ, ა.წ. 25 ნოემბერს ოფიციალური წერილით (N11320) მიმართა სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, საერთო კრების ჩატარების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის 07/12/2020 წლის საპასუხო წერილში აღნიშნულია, რომ „COVID-19 ინფექციის ქვეყანაში ფართოდ გავრცელებისა და რთული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად დახურულ სივრცეში რამდენიმე ასეული პირის მონაწილეობით კრების ან მსგავსი მასობრივი ღონისძიების ჩატარებას...ამასთან, თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავრობის 23 მაისის N322 დადგენილებაში (იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ) 27 ნოემბერს შეტანილი ცვლილებებით მსგავსი ღონისძიებების ჩატარება აკრძალულია და შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ რეჟიმში” (დანართი 1).

წევრებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შეზღუდვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გარემოებაა რეგიონებში მოღვაწე წევრებისთვის, რადგან საერთო კრების ჩატარების შემთხვევაში მათ შესაძლოა შეეზღუდოთ კრებაში მონაწილეობის უფლება. ამჟამინდელი საკანონმდებლო ჩარჩოსა და წესდების მიხედვით, ასოციაცია მოკლებულია კრების დისტანციურ რეჟიმში ჩატარების შესაძლებლობას. წევრებმა აგრეთვე, გამოთქვეს მოსაზრება, რომ ასოციაციამ უნდა გაითვალისწინოს ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეპიდსიტუაცია, გამოიჩინოს მაღალი სოციალურ პასუხისმგებლობა მოქალაქეთა ჯანმრთელობის აპრიორიტეტულობასთან დაკავშირებით და ამიტომ მიზანშეწონილია, 2020 წლის საანგარიშო კრების გადადება გონივრული ვადით, დაწესებული შეზღუდვების გაუქმებამდე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობის 26.11.2020 წლის N699 დადგენილებით დაწესებული შეზღუდვების, აგრეთვე, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2020 წლის საანგარიშო საერთო კრება გადაიდოს გონივრული ვადით, დაწესებული შეზღუდვების გაუქმებამდე.

საკითხი 8. სხვადასხვა

წევრებმა მოისმინეს:

(ა) გიორგი ტურაზაშვილის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ მას დაუკავშირდნენ ადვოკატები, რომელთაც მიაწოდეს ინფორმაცია, სახელმწიფოს მიერ დაწესებული შეზღუდული დროის მონაკვეთში, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილების დროს შეფერხების შესახებ.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქვეყნის დიდ ქალაქებში 21:00 საათიდან დილის 05:00 საათამდე გადაადგილებასთან დაკავშირებით, 2020 წლის 9 ნოემბრიდან ამოქმედებული შეზღუდვის ფარგლებში, ასოციაციასა და საოპერაციო შტაბს შორის შეთანხმების შედეგად, ადვოკატებისთვის ოპერატიულად ამოქმედდა სპეციალური, გამარტივებული წესი, რომლის თანახმად, ადვოკატის ორდერის და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის საფუძველზე, გადაუდებელ

შემთხვევებში, წევრებს შეუძლიათ გადაადგილება პროფესიული მოვალეობების შესასრულებლად.

აღნიშნული წესი საკმაოდ ეფექტურია, რადგან შეზღუდვის ამოქმედებიდან ერთი თვის განმავლობაში, დაფიქსირდა მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც საპატრულო ეკიპაჟის მიერ მოხდა ადვოკატების შეფერხება, რის თაობაზეც ასოციაციამ დაუყოვნებლივ მიმართა შესაბამის სამსახურს საკითხის შესწავლის და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით. თავმჯდომარემ წევრებს განუცხადა, რომ ასოციაცია კვალავაც გააგრძელებს აღნიშნული საკითხის მონიტორინგს და საჭიროებისამებრ დამატებითი ზომების მიღებას.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე